ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №141639

ნომერი: AR138579

თარიღი : 11.04.2012

გაცემის თარიღი : 30.04.2012

გაცნობის თარიღი : 30.04.2012

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ბოჭორიშვილი პ/ნ 04001001745
- თბილისი ს. დიღომი

ორგანიზაცია:
- ფრესკო ტრეიდ ჰაუსი კოდი: 404410188

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 27.03.2012
- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 97550

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო,საოფისე, რესტორანი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ მიქუჭაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო აბსანძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ფრესკო თრეიდ ჰაუსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404410188
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 010090145228

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 265.0
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2304.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1870.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1870.7 კ1-0.82
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 195.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 17899.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4327.5
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 167.3
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 322.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5669.07
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2186.0 კ2-0.95
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 67.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.3
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1382.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 358.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 12230.63
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.9
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 230.0 კ3-0.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1569.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, გობრონიძის ქ. #18-ში (ნაკვეთი 002/157), შპს "Fresco Trade House“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, (საკ. კოდი №01.11.13.002.157) მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო ცენტრი, კაფე–რესტორანი) არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 01 მაისიდან 2013 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით.
4. დაევალოს დამკვეთს, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან (ძალაში შესვლიდან) 03 (სამი) თვის ვადაში წარმოადგინოს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის და საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ შეთანხმებული გენ-გეგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძანება ცნობილ იქნას ძალადაკარგულად.
5. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი, მათ შორის:

5.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

5.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;

5.3. სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად;

5.4. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად;

5.5. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან.

მშენებლობის ეტაპები: 1. ტერიტორიის დაკვალვა და მისი შემოღობვა; 2. საძირკვლის ქვეშ გრუნტის ამოღება; 3.შენობის ფუძის მოწყობა; 4. ნულოვანი ციკლის დასრულება; 5.შენობის სართულშუა გადახურვების, დიაფრაგმების მოწყობა; 6.სახურავის მოწყობა; 7. შიდა და გარე კედლების ბლოკით შევსება;

8. ფასადების მოპირკეთება, შელესვა, შეღებვა; 9.ტერიტორიის კეთილმოწყობა;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.